საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით

გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

(2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით)

საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

- აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში შემოსულია 22 განცხადება. მიმდინარე ეტაპზე პასუხი გაცემულია 20 განცხადებაზე, 2 განცხადებაზე მიმდინარეობს პასუხის მომზადება.

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნაზე განცხადება არ შემოსულა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიალური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

- მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ყველა განცხადებაზე.

- გადაწყვეტილების მიმღებია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

- სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

- სააგენტოში 2015 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რის შედეგადაც აღნიშულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

- სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

-სააგენტოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა.

იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

-საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმისა და კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუმცა, ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში სააგენტო იხელმძღვანელებდა საქართველოს ზოგადი ადმინიდტრაციული კოდექსით.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

-საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნული ფაქტი არ დაფიქსირებულა.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

-ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

სააგენტოს თავმჯდომარე

ავთანდილ კასრაძე